# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1888 1877—1888

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.


ტფილისი, 20 ივლისი

ამას წინად ბ-ნმა რაფიელ ერისთავმა ჩვენს გაზეთში დაბეჭდა წერილი იმის თაობაზე, თუ რა საშუალებაა საჭირო ქართულის ენის ვრცელის ლექსიკონის შესადგენად. დედა-აზრი ხსენებულის წერილისა ის იყო, რომ საქართველოს სხვა-და-სხვა მხარეში ადგილობრივად შეკრიბოს ქართული სიტყვები და შემდეგ ეს მასალა შეამუშავოს და გამოსცეს ერთმა რედაქციამ. რა თქმა უნდა, რომ პატივცემულის ავტორის აზრი ყოვლად საყურადღებოა და საგულისხმოა და ყველა, ვინც ვრცელისა და მართალის ლექსიკონის საჭიროებასა ჰგრძნობს, დიდის თანაგრძნობით მიეგებება და შემწეობასაც აღმოუჩენს რაფიელ ერისთავს. ამის საბუთი ის არის, რომ რამდენისამე კაცისაგან ჩვენმა რედაქციამ თანაგრძნობის წერილი მიიღო და ზოგიერთნი მზად არიან შრომა და მეცადინეობა დასდონ ბ-ნ რაფიელ ერისთავის აზრის განსახორციელებლად. იმედი გვაქვს, რომ ეს თანაგრძნობა თანდათან იმატებს და ოდესმე ქართველებიც ვეღირსებით სრულს ლექსიკონს, ურომლობასაც მეტად ჰგრძნობს ყველა, ვინც ქართულს ენასა სწავლობს და იძიებს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ ის სასიამოვნო ამბავიც, რომ ზოგიერთებს განუზრახავთ ქართულის ენის სხვა-და-სხვა შტოების ლექსიკონების შედგენა. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ბ-ნს თავისუფალს სვანს, სვანურის ზედ-მიწევნით მცოდნეს, შეუდგენია ქართულ-სვანური ლექსიკონიო. დღევანდელის ნომრიდგან მკითხველი შეიტყობს, რომ ბ-ნს მოსე ჯანაშვილსაც, შთამომავლობით ქართველ-ინგილოს, ინგილოური ლექსიკონი შეუდგენია. ეს ორი ამბავი იმდენად სასიამოვნოა და საგულისხმოა, რომ ნება არა გვაქვს გვერდი ავუხვიოთ, მით უფრო, რომ საქმეს შესდგომიან ქართულისა და იმის შტოების ზედ მიწევნით მცოდნე კაცები, რომლებსაც საშუალება აქვსთ მართლად და სწორედ ჩასწერონ სიტყვები და რიგიანად განმარტონ. იმისთანა საქმე, როგორიც ენის შესწავლაა და ლექსიკონის შედგენა, უსათუოდ იმ ენის საფუძვლიანად მცოდნე კაცებმა უნდა იკისრონ, თორემ შეცდომა ყოვლად აუცილებელია. სასურველია, რომ ნაბიჯი თავისუფალის სვანისა და მ. ჯანაშვილისა პირველ ნაბიჯად არ დარჩეს და სხვებმაც მიჰბაძონ იმათს მაგალითს და შეისწავლონ დანარჩენი შტოები ქართულის ენისა. ამით ისინი სამსახურს გაუწევენ არა მარტო ჩვენს მწერლობასა და მწიგნობრობას, არამედ ფილოლოგიასა და ლინგვისტიკას. ეს მეტად საჭიროა, რადგანაც ქართული ენა თვით მეცნიერებისათვისაც ჯერ-ჯერობით წყვდიადით მოცულია. მეცნიერებაში დღემდე სულ სხვა-და-სხვა აზრი ჰსუფევს ქართულის ენის დასაბამისა და ბუნების შესახებ და წარჩინებულთ მეცნიერთაც-კი ვერ გამოუცვნიათ ბუნება ჩვენის ენისა. მეცნიერნი და სხვათა შორის ქართულის ენის პროფესორი, ბ-ნი ა. ცაგარელი, იმ აზრს დაადგნენ, რომ ქართულის ენის დასაბამისა და ბუნების გამოცნობა მხოლოდ მაშინ იქმნება შესაძლო, როცა საფუძვლიანად შესწავლილი და გამოძიებული იქმნება სხვა-და-სხვა შტო ქართულის ენისაო. აი, სწორედ ამ გზით მსვლელობენ ბ-ნნი თავისუფალი სვანი და მ. ჯანაშვილი.

თუ ამ საშუალებით გამოვიძიებთ ივერიელ ენათა ჯგუფს, მაშინ ყოვლად შეუძლებელი შეიქმნება იმ უგვანო და ყოვლად უმსგავსო აზრების გავრცელება, რომელიც ხელზე დაიხვიეს ზოგიერთმა ცრუ-მეცნიერებმა ხელისავე მოსათბობლად, მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო მეცნიერების გმობასა და გაუპატიურებას და არავის საშუალება არ ექმნება წაბილწონ ტაძარი მეცნიერებისა და მართლისა...

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

⁂ გუგილოს ზემო აბანოს ქვემო აბანოს ბანი აქვს ეზოდ. ეს ეზო სწორეა და პატარა შუშის გუმბათი აქვს გაკეთებული ქვემო აბანოს გასანათებლად. ორშაბათს, შუადღისას, ვილაც ქალები იყვნენ აბანოში და პატარა ყმაწვილები ჰყვანდათ. შინ რომ გაემგზავრნენ, ერთი სამის წლის ყმაწვილი მიიტყუა შუშის გუმბათმა, უნდოდა ჩაეხედნა და, ზედ რომ დააწვა, შუშა გასტყდა და ყმაწვილი აბანოში ჩავარდა. ამ აბანოს სამი თუ ოთხი არშინი აქვს სიმაღლე და თლილის ქვით არის მოფენილი. ყმაწვილი გალურჯებული და გულ-შემოყრილი ამოიტანეს და შინ წაიღეს; ამბობენ, მძიმედ არის დაშავებულიო. კარგი იქნებოდა, აბანოს პატრონი დაევალებინათ, რომ ამ სანათურებს ან მაგარი შუშები გაუკეთოს, ან შემოჰღობოს და მტკვრის მხარეს ამოტანილი კედელი აამაღლოს, თორემ სხვა უბედურებასაც შევესწრებით.

⁂ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა გუშინ-წინ ტფილისში: თათრის მოედნის თავზე ერთი პატარა ქუჩა არის, სადაც სცხოვრობენ სომხები და თათრები. საღამოს რვა საათზედ ამ ქუჩაზე ორ დედაკაცს, ერთს თათრისას და მეორეს სომხისას, ჩხუბი მოსვლიათ და ერთმანეთი დაულანძღავთ. თათრის დედაკაცს ქმრისათვის შეუჩივლია, რომ ამა-და-ამ დედაკაცმა შეურაცხყოფა მომაყენაო. ქმარსაც ბევრი არ უფიქრია, დაუვლია ხანჯლისათვის ხელი და შევარდნია სომხის დედაკაცს სახლში. ეს დედაკაცი თურმე თავისის ქმრით და წვრილ-შვილით ვახშამს შეექცეოდა. თათარს დაუცია ხანჯალი დედაკაცისათვის ფერდში და იქვე სული გაუნთხევინებია.

⁂ „ხიდისა“ და „ავჭალის“ ქუჩის შესართავში ქვაფენილი აშალეს და ახლად აგებენ. დასაფენი ქვა თითქმის არშინ ნახევრის სიმაღლეზეა დაგროვებული და ფარანი-კი არა სდგას ხალხისა და მეეტლეების გასაფრთხილებლად. გუშინ ღამეს ორი ფაიტონი დაეჯახა დაგროვებულს ქვასა და ხარიხებს. ერთის ფაიტონის ცხენი წაიქცა და ხელნა გატყდა. ეს პირველი და უკანასკნელი არ იქნება და შესაძლებელია უარესიც მოხდეს, თუ რომ ფარანი არ დასდგეს.

⁂ ამას წინად ჩვენ ვაცნობეთ მკითხველებს, რომ ჩვენს ეტნოგრაფს თავისუფალს სვანს შეუდგენია ქართულ-სვანური ლექსიკონიო. ეხლა კიდევ მეორე ამ გვარივე სასიამოვნო ამბავი შევიტყეთ. ბ-ნს მოსე ჯანაშვილს, რომელიც ამ ჟამად საინგილოში იმყოფება, ადგილობრივად შეუდგენია მოკლე ინგილოური ლექსიკონი. ამ ლექსიკონში მოყვანილი აქვს აგრეთვე უდური და ლეკური სიტყვებიც.

⁂ სოფელ ქვემო-მაჩხაანის ყმაწვილ-კაცობას წარმოდგენა გაუმართავსთ წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის სასარგებლოდ. წარმოუდგენიათ ა. ცაგარლის „ხანუმა“ და „უჩინ-მაჩინის ქუდი“, გ. ერისთავისა. ნაღდი შემოსავალი დარჩენილა ორი თუმანი.

⁂ ჩვენ გვწერენ, რომ ჯევათის მაზრის და უფრო-კი დ. სალიანის პოლიციის მოხელენი უმაღლესის მთავრობის განკარგულებით მიჰფანტ-მოჰფანტეს ლენკორანის, ყუბის და შემახიის მაზრებში. ამათ მაგივრად დანიშნულები არიან ახალი კაცები. მაზრის უფროსი გადმოყვანილია კუბადგან, ხოლო დანარჩენი მოსამსახურენი—მაზრის უფროსის თანაშემწე, მდივანი და ქალაქის ბოქაული-კი სხვა-და-სხვა ადგილებიდგან. ვნახოთ ახალი პოლიცია რას მოუტანს დ. სალიანს. იქნება ღმერთმა ბძანოს და გაასუფთაოს და გაამშვენიეროს დღევანდელი მიგრეხილ-მოგრეხილი დ. სალიანი. აგრეთვე აქაური მომრიგებელი მოსამართლე, ბ-ნი გძელიშვილი, გადაიყვანეს ქ. შემახიაში.

⁂ ქუთაისი: ამას წინად „ივერიაში“ მოხსენებული იყო აქაური ებრაული სკოლა და რაბინი. ეხლა ურიგო არ იქნება, ორიოდე სიტყვა ვუძღვნათ სომხების სამრევლო სკოლას და იმის გამგებელს ტერ-დავითს იარალიანცს. საქმე ის არის, რომ ამ სკოლაში დღემდე სწავლა ისე სწარმოებს, როგორც ებრაელების სკოლაში სწარმოებდა; ყმაწვილებს, რომლებმაც ქართულის ენის მეტი არც ერთი ენა არ იციან, სომხურს სომხურისავე საშუალებით ასწავლიან და ეს რამდენად მოუხერხებელია, თითონ პატივცემულმა ტერ-დავითმაც კარგად უნდა იცოდეს. მაშინ-როდესაც ებრაელთა სკოლაში ქართული ენა იარაღად შემოიღეს ებრაულის სასწავლებლად, სომხურს სკოლაში ქართულის ხსენე-

# ფელეტონი

ბნელი

(მოთხრობა)

XVI*)

საპატიმროში

ოლქის სასამართლომ დაამტკიცა გარდაწყვეტილება მომრიგებელის მოსამართლისა და ილია თვალიაშვილი სასამართლოს დარბაზიდამვე წაიყვანეს საპატიმროში. როცა მოუტანეს ილიას სატუსაღო ტანისამოსი, ილამ უთხრა მომტანს:

— ეს როგორ უნდა ჩავიცვა, ხო შამჭამო.

პასუხად უთხრეს:

— ნუ გეშინიან, აქ შამოსვლა გიჭირდა, თორე რაკი აქ შამოხველ, ყველაფერს შაგაჩვევთო.

ილიამ გულიანად ამოიოხრა და დაიწყო ტანისამოსის გახდა.

როცა ტუსაღებს თვალი გადაავლო, ილიას ცოტათი გულზედ მოეშვა ბოლმა და სთქვა თავისთვის: „მადლობა ღმერთს, რომ ჩემზე არ ჩამოწყვეტილა მარტო სალამი და ბევრი სხვაც ყოფილა აქა. მაგრამ განა მე რო უცეცხლოთ დამწვა, იმ ცეცხლ-მოსაკიდებელმა, სხვანიც იქნებიან ჩემ დღეში?“

დიდხანს არ გასტანა ილიას გულ-დამშვიდებამ. იგი მივიდა პატარა სარკმელთან, რომლიდგანაც დაინახა ალაზნის ველი, და დაიწყო სლუკ-სლუკი. სლუკ-სლუკი ტირილად გადაიქცა მაშინ, როცა იგრძნო, რომ შემოეხვივნენ უკანიდამ პატიმრები და სცდილობდნენ დაენახათ იმისი პირისახე.

— რა „ნექნა“ რამა ყოფილა! წამოიძახა ერთმა პატიმართაგანმა.

— იზედი გადახდება, რო იამან! დაუმატა მეორემ—თათარმა და და ჰკრა ხელი ილიას ბეჭებზედ.

— იქნება ეგრე გაგიტკბეს აქაურობა, რო ძალათი გაგდებდნენ და აღარ მიდიოდე! უთხრა მესამემ.

— მეეცათ, კაცო, რაჰ ჩემეეკიდენით მა კაცს, რა გინდათ მაგისაგან?— სთქვა მეოთხემ.

პატიმრები-კი მოსცილდნენ, მაგრამ ილა-კი არც მოჰშორებია მთელს დღეს სარკმელს და არც იმისი თვალი გამშრალა ცრემლისაგან. ცრემლის ღვრითვე გაატარა ილიამ ღამეც, რადგანაც მთელს ღამეს თვალზე ძილი არ მოსვლია.

მეორე დღეს, როცა გამოიღვიძეს პატიმრებმა და წამოიშალნენ, ზოგი ებღუნძალავებოდა ერთმანეთს, ზოგი პირის დასაბანად მირბოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ყვიროდა: „ჰაჯან, ჰაჯან, სან იახში, ეინალ!“ (მობაიათე ტუსაღი). ილია შეჰყურებდა გაცეტებული და ჰფიქრობდა თავისთვის:

— თუ სულელები შამოურეკნიათ აქ, არ ვიცი; თუ არა-და, რა ყოფა აქეთ? თუ ესენი ჭკვიანები იყვნენ, ეგრე იმხიარულებდნენ ამ ჩასაძვრენ ალაგას?

მოვიდა სადილის დრო. დაურეკეს სადილისა. ყველა მიეშურება კერძის მისაღებად, გარდა ილიასი, ის ამ დროს პატარა ფანჯარიდამ გადაჰყურებდა მღელავ თავთავ წასხმულ ყანებსა და ქერებს ალაზნის ველზედ. მივიდა იმასთან ერთი პატიმართაგანი და უთხრა:

— ძმაო, შენ რო ე მაგრე ჰქნა, მშიერი მოჰკვდები. წადი, გამაართვი შენი „პორცია“ და პური ჭამე! მარტო შენ თავზე ხო არ მაჰკდარა ეგ ამბავი; აი გადაჰხედე, როგორი ჯოლლა ვართ. მეც ე მაგრე შენსავეითა ვდარდობდი წინდაწინ, მაგრამ მე დარდით ვერა უშველე-რა ჩემ თავს.

— რა ვქნა, ეგ მართალია,—უპასუხა ილიამ:—მაგრამ მე განა ისა მწყინს, რო აქა ვარ რა! მე ის მაწუხებს, რო უსაბაბო საბაბით დამიჭირეს.

— წადი, შენ გამაართვი შენი „პორცია“! ეგენი მემრე ვილაპარაკოთ.

ილიამ მიიღო თავისი კერძი და მიიტანა იმ პატიმართან, რომელმაც ურჩია კერძის მიღება და რომელიც იცნო თავის გულ-შემატკივრად; იმასთან სამიც სხვა იჯდა. ილიამ ამოიღო ერთი კოვზის პირი წვენი, შეხვრიტა თუ არა, მაშინვე გულს დააზიდა, გამოლევარა ისევ პირიდამ და სთქვა:

— თუნდა მამკლათ, მე ამას ვერა ვჭამ! არც პურსა და ხორცს ახლო პირი და უთავაზა ყველაფერი ახლად გაცნობილს პატიმრებს. ილიამ დაწვრილებით უამბო თავისი თავ-გადასავალი. ერთმა მათგანმა უთხრა:

— აი ეხლა კიდე მიხვედი იგეთ ადგილს, საცა გაიწვრთნები და მაგრე ადვილად ველარ წაგირგავენ თავს დანაშაულობაში.

— ღმერთმა დამიფაროს! ჯერ არას მქნელი ვიყავ, ეგრე მიყვეს, და, რო დავაშავო რამე, ხო ციმბირი აქათ დამრჩება?

— კიდეც ეგ არი, რო, რა-კი გაიწვრთნები, კბილს ველარავინ ჩაგკიდებს, რაც უნდა „რაზბონიკობა“ ჰქნა!

— ღმერთმა დამიფაროს „რაზბონიკობიდამ“! მაშ მკლავი მამტყდეს, მკლავი, თუ მე მრუდათ კელი წამეტანებინოს, ან წავატანო რასმე!

— ეჰ, ჩემო ძმაო, ეს იგეთი სკო-

*) იხ. „ივერია“ №№ 141, 142, 143, 145, 146, 147, 148, 150 და 151.

ბაც არ არის, თითქო შეგირდები ვან-მუშელ სომხების შვილები იყვნენო. ამიტომ ხსენებულს სკოლაში სწავლა რიგიანად ვერ მიდის და ბავშვი სასწავლებლიდგან უფრო გონება დახშული გამოდის, ვიდრე გონება განვითარებული. მ. ტერ-დავით იარალიანცი ისე მოქმედობს, თითქო ვანის ტბის გადმოტანა უნდოდეს ქუთაისშიო, და ეს ხომ ყოვლად სახაცილო სურვილია.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**საინგილო**, 16 ივლისი. ეს ერთი კვირაა, რაც ცა მოილრუბლა. ხან ქარი ჰქრის, ხან კოკი-პირულად სწვიმს და ხან-კი მწვავე მზე აცხუნებს მთელის დღის განმავლობაში. აქამდის ჯერ აქ ზაფხულის ნამდვილი ტაროსი არა ყოფილა. აპრილის 14-დგან მოკიდებული ივნისის დამდეგამდე ძლიერი წვიმები მოდიოდა და თანაც საგრძნობელად სციოდა. მას აქეთ არეული დარებია. მაისის ამინდებმა პარკის მოსავალს საკმაოდ ავნო. წელს საზოგადოდ მთელს კაკის განყოფილებაში შარშანდელ მოსავლის მესამედი იყო აბრეშუმისა და ამ მხრივ დიდი ზარალი მოუვიდა ხალხს. შარშან მარტო კაკის მაზრაში გაიყიდა 6,000—7,000 ფუთი ნედლი პარკი, წელს-კი 2,000—3,000. ფუთი პარკი ისყიდებოდა, ორთა შუა რომ ვიანგარიშოთ, 15 მანეთად. მაშასადამე, ჯამი პარკის შემოსავლისა წელს ყოფილა 37,500 მან. უფრო კარგად იხეირა იტალიის თესლის ჯიშის ჭიამ. ვისაც ეს თესლი ჰქონდა, იმას ნუგანიც კარგი მოუვიდა.

ჩალთუქრებისა და ფეტვებისათვის წლევანდელი ამინდი ძალიან სანუგეშოა. ორივე გვარი ჰირნახული მალლა გაიზარდა და საამურად ბიბინებს მინდორ-ველებში. პურის ყანებს მაისის წვიმამ დაბალ, ჩავარდნილ ადგილებში ავნო. პური მაღალი გაიზარდა (გაძალიანდა), მაგრამ სამაგიეროდ თავთავი სავსე არ გამოვიდა. ზოგან სულ ბალახ-ბულახმა „დასცა“ და გააფუჭა. მთის ძირობაზე და საზოგადოდ მაღალს ადგილებში-კი ყანები საუცხოვო მოვიდა. გლეხები გახარებულნი და კმაყოფილნი არიან ამისთანა მოსავლისაგან. მშვენიერი „სარუხულდა“ (ხახარლის უკეთესი გვარია), რომელიც სიკეთით არ დაუვარდება ოდესის ხახარალს, კაკის მაზრაში ისყიდება 6 მან. ქერები და პურები დაიმკო და ზოგან კიდეც ლეწვენ. ჩალთუქრები და ფეტვები დაიმკება ენკენისთვის დამდეგს.

ვენახებს, მეტადრე დაბალს ადგილებში, სულ მთლად ნაცარი შეაყარა. ხალხი ძლიერ სწუხს და არ იცის, ულვინოდ როლად როგორ წავა. ინგილოები საზოგადოდ ბლომად სმენ ღვინოს: დიდი და პატარა, მოხუცი და ჩვილი, მამაკაცი და დედაკაცი სულ ყველანი შემოდგომასა, ზამთარსა და გაზაფხულზე ღვინოს ხელადებით სმენ ისე და იმდენს, რომ ზაფხულისათვის ქვევრებში აღარა რჩებათ. ამ დროს უმეტესი ნაწილი ულვინოდ არის. ამ მხრივ წრევანდელი წელიწადი არაჩვეულებრივი წელიწადია. ტფილისის სირაჯებმა გაიგეს, რომ აქ ღვინოები იაფად ისყიდებაო, და მოაწყდნენ საინგილოს. აქაურ ღვინომაც უცბად ფასში აიწია. კვლავ რომ ღვინო გაყიდულა 4—5 მანეთად, ახლა ოცოც-და-ორ მანეთამდე ავიდა. ამბობენ, რომ მარტო სოფ. კაკიდამ ღვინო გაიტანეს 1,000 თაღარიო (თაღარში 20 კახური კოლ-ჩაფია) და მთელის ზაქათალის მაზრიდამ თითქმის ასი ათასი მანეთისაო.

გაზაფხულის სიცივეებისა გამო ხეხილებზე ნაყოფი ნაკლებად არის; შარშან ხომ სულაც არ იყო. ვისაც ბლომადა აქვს ჩურჩა-ქლიავი, კარგი მოგებაცა აქვს. გამხმარი ქლიავი თითქმის თხილის ფასად ისყიდება. თხილებზე წელს შუათანა მოსავალია, აგრეთვე კაკლებსა და წაბლებზედაც. ზოგს აქ 100—200 ბუჩქი თხილი აქვს. ყველა ბუჩქიდგან შუათანა მოსავლის დროს შემოვა ერთი ფუთი კარგი თხილი. ეს ხეხილი საზოგადოდ კარგს მოსავალს იძლევა და მოვლა-კი სულ მცირე უნდება: მხოლოდ მორწყვაა საჭირო ორჯელ თუ სამჯერ ზაფხულობით. მიკვირს, ეს სასარგებლო მცენარე რატომ არ არის გავრცელებული დანარჩენს საქართველოში. ჭრელი თხილი (ე. ი. ინგილოური) კარგად იხეირებს ქართლ-კახეთში. თხილის ბუჩქის დარგვა ძნელი არ არის. ასი ათასს ბუჩქს მოუვლის ერთი კაცი, ნაყოფის აღებისათვის ხუთი-ექვსი კაცია საკმაო. ნიგვზიდამ ჰხდიან მშვენიერს ზეთს, რომელიც ძლიერ კარგის გემოსია და კარგს ფასადაც ისყიდება.

ბოსტნეული: ხახვი, ლობიო, სიმინდი (აქ სიმინდი ხილად ითესება და არა მინდორ-ველებში, როგორც სხვაგან საქართველოში) და სხ. წელს მშვენიერია. შარშან-კი ნაკლებად იყო და ძვირადაც იშოვებოდა.

ხალხი ჯან-მთელად იმყოფება. აქ ყოველ გვარი სენი ჩნდება, საზოგადოდ, 15 მარიამობის თთვიდგან; ეს იმიტომ-რომ ამ დროს ერთის მხრით ძრიელ დაცხება ხოლმე და მეორეს მხრით ბევრი ხილეულობაა. ქურდობამა, ავაზაკობამ, სახლებისა და ძნების წვამ იკლო და არა თუ იკლო, თითქმის სულ გადავარდა. ამ მხრივ ბოროტ-მოქმედებას ყოჩაღად ებრძვის კაკის მამასახლისი, არჩილ ტარტარაშვილი, რომლის შვილის (ზორბას) მკვლელი ლეკი უკვე იპოვნეს და სამართალს მისცეს.

ყორაღის ინგილოების საქებრადა და სასახელოდ კიდე ის ითქმის, რომ მთელმა იმათმა ჯამაათმა თავის ურწყავ და ურწყულ მინდვრების სარწყავად რვა-ცხრა ვერსის მანძილზე მდ. ყაფი-ჩაიდამ გაიყვანეს უშველებელი რუ, რომელიც მინდვრებსაცა ჰრწყავს და წისქვილებსაც აბრუნებს.

ძველს ქალაქს თორუალ-ყალას (ყორაღის ახლოა) იპოვნეს საცეცხლური, ფულები, კვალი და სხ., მაგრამ ამაზედ შემდეგ.

მოსე ჯანაშვილი

სოფ. კაკი

---

### შენიშვნა გაზეთ „მწყემსის“ წერილის გამო (№ 8 და 9 *).

მ. ღამბაშიძე სემინარიელებს უსაყვედურებს, რომ ისინი არა კითხულობენ მის მიერ შედგენილს სახელმძღვანელო წიგნს და ამისათვის იმათ არ იციან თავიანთის მოვალეობის აღსრულებაო. ახლა ვნახოთ, რას ამბობს მ. ღამბაშიძე თავისის წიგნის „წინასიტყვაობაში“. „ამ წიგნს, რასაკვირველია, არა აქვს დანიშნულება იმ მღვდლებისთვის, რომელთაც სასულიერო აკადემიისა და სემინარიის კურსი შეუსრულებიათ და რომელთაც სასულიერო კონსისტორიის უსტავი იციან და ნიადაგ წინ უდევსთ. ამ წიგნს აქვს დანიშნულება იმათთვის, რომელთაც არა თუ სემინარიის, არამედ ოთხ-კლასიანი სასწავლებლის კურსიც არა აქვთ შესრულებული“. აქედგან გამოდის, რომ ყოველმა სემინარიელმა კურსის შესრულებისთანავე იცის იმისის წიგნის შინაარსი და, თუ სჭირია რამე, შეუძლიან ამოიკითხოს იმ წიგნებიდგან, საიდგანაც მ. ღამბაშიძეს ამოუკრებია თავისი წიგნი. მაშ რაღად უსაყვედურებს სემინარიელებს?

ახლა წიგნის შინაარსი გავსინჯოთ, თუ რამდენად გასაგებია იგი შინ ნასწავლ მღვდლებისთვის.

აი რა სწერია ამ წიგნის მეორე გვერდზედ: „თუმცა მღვდელი არ იპოვება და ამ სახით ბავშვი იქმნა მონათლული (ესე იგი თუ სიკვდილის შიშის გამო ბავშვი მონათლა ბებიამ, ან ერის კაცმა დადებულის სიტყვების თქმით), მაგრამ თუ დარჩა ცოცხალი და აღარ მოკვდა, მაშინ მღვდელმა **დანარჩენი** მღვდელ-მოქმედება უნდა შეუსრულოს იმას, მაგრამ ის სიტყვები, რომელნიც წყალში ჩაყვანის დროს სთქვეს, აღარ უნდა სთქვას და არც წყალში უნდა ჩაიყვანოს“. აქედან ცხადია, რომ მღვდელმა უნდა დაიწყოს თავიდგან ნათლობის ლოცვები და ჩავიდეს ბოლომდის, მხოლოდ არა სთქვას-კი, ნათლეს იღებს მონა ღვთისა სახელითა მამისათა და სხვა... და არც წყალში ჩაიყვანოს ბავშვი. ჩვენ შემთხვევა გვქონდა გვენახა, რომ მღვდელმა ამ წიგნის მიხედვით კათაკმეველის ლოცვებიდგან დაიწყო და ჩავიდა ბოლომდისინ, როგორც რიგია, გარდა ზემოხსენებულის სიტყვებისა და მოქმედებისა. ამისთანა შესრულება **დანარჩენის** ნათლობისა, რასაკვირველია, უკანონო იქნება, მღვდელმა უნდა მხოლოდ მირონ ცხების ლოცვიდგან დაიწყოს და ჩავიდეს ბოლომდის.

მე 3 გვერდზედ აი რა არის ნათქვამი: „ვინც სხვის სამრევლოში შეასრულებს ნათლის-ღებას, თავის მეტრიკაში უნდა ჩასწეროს და მეტრიკის გამოწერილობა უნდა მისცეს ბავშვის მამას, რომ იმის ჰრიხოდის მღვდელს მიუტანოს ეკკლესიების საბუთებში შესანახავად“. მაშასადამე, მე რომ ქ. სიღნაღს ან თელავში მოვნათლო ვინმე, უნდა წამოვიღო და ს. კახის მეტრიკაში ჩავსწერო. ახა წავიკითხოთ ის მუხლი კონსისტორიის წესდებისა, საიდგანაც გადმოუთარგმნია მ. ღამბაშიძეს ზემო ნათქვამი:

„Впрочемъ во всякомъ случаѣ священникъ, каторый совершитъ крещеніе младенца другаго прихода, обязанъ дать о томъ письменное свидѣтельство, съ означеніемъ подъ какимъ именно числомъ мѣсяца и № записано священнодѣйствіе въ церковныхъ книгахъ. Документъ сей доставляется прихожанами приходскому причту для храненія при церковныхъ актахъ“ (104 ст. уст. Дух. Конс.).

როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს მუხლი სულ სხვას ამბობს და არა იმას, რასაც მ. ღამბაშიძე ურჩევს მღვდლებს. ორი შემთხვევაა სხვის სამრევლოს ბავშვის მონათვლისა და მეტრიკაში ჩაწერისა: შეიძლება მღვდელმა თავისს სამრევლოში მონათლოს სხვის სამრევლოს ბავშვი და მაშინ იმან უნდა ჩასწეროს თავისის მეტრიკაში, როგორც ამბობს ზემოხსენებული მუხლი, და მოწმობა მისცეს მამას, რათა მან მიუტანოს თავისს მღვდელს იმის დასარწმუნებლად, რომ ბავშვი მონათლულია; შეიძლება მღვდელმა სხვის სამრევლოში მონათლოს იმავე მრევლის ბავშვი და მაშინ უნდა ჩასწეროს იმავე მრევლის მეტრიკაში და თვითონვე ხელი მოაწეროს და არა თავისის მეტრიკაში, როგორც ამბობს მ. ღამბაშიძე. ერთის სიტყვით, ვისი სამრევლოსიც იქნება ბავშვი, რომელ სამრევლოშიაც მოინათლება, იმავე სამრევლოს მეტრიკაში უნდა ჩაიწეროს და მომნათვლელმა მღვდელმა ხელი მოაწეროს.

72 გვერდზე მ. ღამბაშიძე ბრძანებს: ამის შემდეგ მღვდელმა მეფესა და დედოფალს ერთი ერთმანეთისათვის უნდა მოაკიდებინოს ხელი, თავისი ხელი უნდა მოჰკიდოს მათ შეერთებულს ხელს, დასფაროს ოლარი და ისე სამჯერ ანალოგის უნდა შემოუარონ, რომლის შემოვლის დროს მგალობელნი უნდა გალობდნენ: „ისაია მხიარულ იყავ, ქალწულმან და სხვანი“.

ახლა გადავშალოთ ქართული კურთხევანი და ვნახოთ, რა სწერია იქ ამავე საგნის შესახებ. „ხოლო სვინას ეპურას გვირგვინი ხელითა თავსა მათსა ზედა (ნეფესა და დედოფალსა), მღვდელი

*) იხ. „ივერია“ № 151.

---

ლაა, რო ბევრი შენითანა ბიჭი გადაუკეთებია!

— ყველას თავისი თაბაუთი აქვ. კაცს რაც შუბლზე აწერია, ვერ აჰცდება—ფეხს ვერ აუქცევს. ალბათ ეგრე მეწერა და უნდა ავიტანო. განა ის დალოცვილი ღმერთი ამას არ მაკმარებს, რო სულითაც არ დამკარგოს?

— აკი გეუბნები, ეს იგეთი ალაგია, რო, ანგელოზი რა არი, ანგელოზიც რო შამოვიდეს აქ და ერთს თთვეს დარჩეს, ისიც ეშმაკად გადაიქცევა და აბა კორციელი კაცი როგო გადაურჩება?!

ილას ზიზღი მოსდიოდა, როცა ეუბნებოდნენ, რომ აქ სხვა ნაირად გადაჰკეთდებიო. რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, ვინც მისდევს იმიჰთანა საქმეს, რომელსაც გული არა სთხოვს? ის კაცი-კი არა, ნადირი უნდა იყოსო! ამბობდა ხოლმე.

ილიამ გაიცნო თანდათან პატიმრები. ძალიან აღარ დარდობდა, მაგრამ სასმელ-საჭმელს დიდხანს ვერ ეჩვეოდა.

მეხუთე თუ მეექვსე სალამოს ილა ძალიან გაართვეს თავისმა ახალმა მეგობრებმა. ზოგი თავისს თავ-გადასავალს ლაპარაკობდა, ზოგი ლაზლანდარობდა. ილია სიცილს ვეღარ იჭერდა ამ სალამოს. იმ ღამესაც ტკბილად დაეძინა, მაგრამ როცა გამოიღვიძა, ძალიან დადარდიანდა. მიზეზი იმასის დარდიანობისა იყო იმ ღამეს ნანახი სიზმარი. იმას ეჩვენა სიზმრად შემდეგი: მივიდა ვითომ შინ კვირა დილით ლამის კარიდამ და ნახა, რომ იმის ეზოში შეყრილიყვნენ მშვენივრად დართული ქალი და რძალი. იმათში ერია იმისი ცოლი მაროც, მაგრამ თავზე ჩიქილა არ ეხურა. გასწია გაჯავრებულმა შინისკენ, რომ ჰკითხოს დედას მიზეზი, და იქ უარესი ელდა ეცა—იმის სახლს კარები აღარ ება, ამის ნახვაზედ ერთი შეხტა მაინარე და ძირს ტყაპა მოსძვრა და მაშინვე თვალები აჰყიტა. გათენებამდინ თვალზე ძილი აღარ მოსვლია და სულ ამას იძახოდა:

— ეს ოკერი, ძალიან ცუდი სიზმარია, კიდევ-კი არაფერი დამემართოს. და! თუმცა ამხანაგები უქარწყლებდნენ ამ სიზმარს, მაგრამ მაინც დარდი გაუახლა ილაის.

ილია შეეჩვია ტუსაღების სასმელ-საჭმელს და აღარც ისე დარდობდა, როგორც წინად. მხოლოდ თავისს პატარა, ვიწრო სარკმელს თავს არ ანებებდა. რა წამსაც გამოიღვიძებდა, მაშინვე მივიდოდა სარკმელთან და ადგილს იჭერდა, რომ სხვას არავის დაესწრო იმისთვის. იცქირებოდა ხოლმე ალაზნის ველისკენ, საიდამაც მოჩანდა ნაშრომ-ნაჭირნახულევი მიწის მუშათა და სიამოვნებდა იმით, მაგრამ ბევრჯელ სიამოვნების მაგივრად ყელში გული მოჰბჯენია და თვალებში ცრემლები, როცა მოჰგონებია, რომ უყურებს სხვის ნაჭირნახულევს და არა თავისას. ერთს დილას ილიამ შენიშნა, რომ რამდენიმე მომკალი მოსდებოდა ქერს და ხალისიანად მკიდნენ. ამის დანახვაზედ ამოუჯდა გული და მაღალის ხმით დაიწყო ქვითქვითი. მივიდა იმასთან ერთი პატიმართაგანი და უთხრა.

— კიდე მოგიარეს? რა იყო, რა მეჩვენა, რო პატარა ბალღივითა სლუკ-სლუკუნებ?

— როგო თუ რა მემჩვენა?! აგე გაიხედე, როგო ბუტრაობენ ჩემი ჰწორამხანაგები ქერში და მე-კი აქა ვგდივარ! უთხრა სლუკუნით ილამ.

— ეჰ, საქმე გამოგლევია შენც!

— როგო თუ საქმე გამამლევია? ცოლ-შვილი ყელ-გადაგდებული დავყარე, იმოდენა მოსავალი თავ-გამოუბმელი დამრჩა და საქმე გამამლევია! ვინ იქნება იმათი ყური-მგდებელი? ან ვინ მოუმკით, ან ვინ გაულეწავთ, ან ვინ დაუფქავთ, რა უნდა ქნან? როგო რასმე უნდა გამააბან თავი? ხო წავიდა და დემელუპა იმოდენა საჩრო!

— შენ დარდი ნუ გაქვ, დედაშენი არაფერს არას გააფუჭებს. როგორც შენ იმას აქებ, მაგისთანა ფიქრები-ლა უნდა გქონდეს!

— ეგ მართალია, დედაჩემი არაფერს არ გააფუჭებს, მაგრამ მე რა ვქნა, რო ყანის მკისათვინ კბილები მიკაწკაწებს? პური ჭამა არ მამინდება იგრე, როგორც ეხლა ყანის მკა მამინდა!

ტუსაღი მოსცილდა, თვითონაც გული შეიმაგრა და უყურებდა თვალმოუშორებლივ მომკლებს. ხანდისხან, როცა ეშხზედ მოდიოდა, წამოიძახებდა ხოლმე: „დაჰ-მოჰ! დაჰ-მოჰ!“ რამდენიმე დღე იტანჯებოდა ამ ნაირად ილია, როცა უყურებდა მომკლებს, თუმცა-კი ყოველ დღე უმსუბუქდებოდა იგი ტანჯვა, და ბოლოს იქამდისაც მიაღწია, რომ გულ-გრილად უყურებდა მომკლებს.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად ილია ურიგდებოდა თავისს ყოფა-ცხოვრებას. გაეჩვია იგი პატიმრებში, გაიცნო ყველანი და დაიწყო იმათთან ლაზლანდარობა. რადგანაც კარგი ხმა ჰქონდა, შეუდგა ბაიათების სწავლას. ისე გაერთო ტუსაღებში, რომ, როდესაც გაიგო—ოთხის თთვის შემდეგ თავისის დატუსაღებისა—დედის სიკვდილი, იმდენი არ უტირნია, რამდენიც იტირა მომკლების პირველად დანახვაზედ. ილია უფრო მომეტებულად ორს ტუსაღს დაუახლოვდა. განუწყვეტლივ იმათთან იყო და ეს სამნი სულ რაღაცას ჩაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის იმათგანვე სწავლობდა თათრულს ლაპარაკსა და ბაიათებს. ისე შეეთვისა იმათ ილია, რომ, როცა ერთი იმ ორ ტუსაღთაგანი—ქი-

წინა უძღოდეს სასაკმეველითა და იგინი ირგვლივ უვლიდნენ სამგზის, ხოლო მღვდელი, ანუ ერი გალობდეს ამას: ისაია მხიარულ იყავ და სხვანი... ამის შესახებ მ. ღამბაშიძე ამბობს თავისს წიგნში, რომ არსად სწერიაო?

შინ ნასწავლი მღვდელი რომ წაიკითხავს მ. ღამბაშიძის წიგნში და კურთხევანში ერთსა და იმავე საგნის შესახებ სხვა-და-სხვა დარიგებას, რას იტყვის, მკითხველო, რომელს უფრო დაუჯერებს და აღასრულებს? რასაკვირველია, კურთხევანს უნდა დაუჯეროს და ისე მოიქცეს, როგორც იქა სწერია, ესე იგი, სასაკმეველით წინ გაუძღვეს ხელ-ჩაკიდებულს ნეფე-დედოფალს და და ისე კმევით შემოატაროს ანალოგიას.

მ. ღამბაშიძე კიდე უფრო შორს მიდის, იგი კურთხევანის წესსა და მოქმედებას უწოდებს უწესო მოქმედებად, რომელიც არსად არა სწერია. 74 გვერდზე მ. ღამბაშიძე განაგრძობს: „მეფე-დედოფალი ხელს არა ჰკიდებენ ერთმანეთს ანალოგიაზედ შემოვლის დროს და არც მღვდელი მოჰკიდებს მათ ხელს, არამედ დაშორებით კმევით უვლის ანალოგიას მღვდელი და სხვა მრავალ ამისთანა უწესო მოქმედებას ასრულებენ (მღვდლები), რომლითაც თავის თავსაც ამდაბლებენ და პასუხის გებაშიაც ვარდებიან ღვთის წინაშე ამისთანა ცუდის წესების შემოღებით. მღვდლები ამისთანა უწესოების ასრულებას არ უნდა შვრებოდნენ“.

თუ კურთხევანის დარიგებას მივყევით, მაშინ უწესო მოქმედებას ჩავდივართ, და თუ მ. ღამბაშიძის წიგნისამებრ მოვიქცევით, მაშინ წესიერად ვიმოქმედებთ,—ეს რომელს კანონში სწერია, არ ვიცით, ალბად იმის მიერვე გამოგონილს კანონებში, რომელიც ჩვენ არ წაგვიკითხავს მისდა სამწუხაროდ.

მ. ღამბაშიძე ამბობს თავისს სიტყვაში, რომ ჩვენგან შედგენილს წიგნში დაწვრილებით არის ახსნილი, თუ როგორ უნდა ჩასწეროს მეტრიკაში მღვდელმა უკანონოდ დაბადებულნი და მარჩბივნი (ტყუპი). ნათქვამია, კაცმა ისეთი ტყუილი უნდა სთქვას, რომ მოკლე ფეხები არ ესხასო. გადაფურცლეთ, გადასინჯეთ ეს წიგნი თავიდგან ბოლომდე და აბა თუ თქვენ იმაში ერთს სიტყვას მაინც იპოვით, როგორც უნდა ჩასწეროს მღვდელმა მეტრიკაში უკანონოდ დაბადებულნი და მარჩბივნი. მხოლოდ ერთს ალაგას (4 გვერ.) არის ნათქვამი, თუ როგორ უნდა მონათლოს მღვდელმა სხვის კარზედ ჩუმად მიგდებული ბავშვი. განა ეს იმასა ჰნიშნავს, რომ უკანონოდ დაბადებულნი როგორ უნდა ჩაიწეროს მეტრიკაში?

ამ თავით ნათქვამიც და ნაჩვენებიც საკმარისია, რომ მკითხველმა შეადგინოს აზრი იმაზედ, ასცდება თუ არა სოფლის მღვდელი შეცდომას, თუ რომ მ. ღამბაშიძის წიგნი იქონია სახელმძღვანელოდ.

ბლ. მღ. ს. ლიაძე

(შემდეგი იქნება)

## უცხოეთი

გერმანია. ორი გერმანელი გაზეთი, რომელნიც გერმანიის კანცლერს უჭერენ მხარს, „Kölnische Zeitung“-ი და „Kreuz Zeitung“-ი, არავითარსამე მნიშვნელობას არ აძლევენ იმპერატორებთა ნახვას რუსეთში. რეინის გაზეთის სიტყვით, ამ ნახვას ორთა დიდთა იმპერატორთა მშვიდობიანობის დაცვის მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ექმნება, თუ რუსეთი წესიერად აჰხსნის, ე. ი. თუ რუსეთში გერმანიის იმპერატორის მისვლას ისე აჰხსნიან, რომ თავაზიანობა იყო და ზრდილობა მოითხოვდაო. ეს არის და ეს, მეტი არაფერი, რადგან გერმანია, რუსეთთან დაახლოვების გულისათვის, არც თავისს ინტერესებს უღალატებს და არც გეგმას შესცვლის მოქმედებისას. „Kreuz Zeitung“-ი ამბობს, რომ ბერლინში არავის იმედი არა აქვს, ვითომ რუსეთმა თავისი პოლიტიკა შესცვალოს ბალკანიის ნახევარს კუნძულზედაო. ეს პოლიტიკა რუსეთისა გუშინდელის დღიდგან არ გამოაშკარავდა. პეტერბურგში დიდი ხანია ამ გზას ადგიან, მაგრამ მშვიდობიანობა და წესიერება-კი ჯერ არ დარღვეულა. არც ერთის მხრივ და არც მეორეს მხრივ ფიქრადაც არა აქვსთ, რომ სამთა კავშირი კვლავ განაახლონ. რუსეთს სრული ნება აქვს მშვიდობიანობის გზით იაროს და ეცადოს, რომ ბოლგარიაში ისეთივე გავლენა დაიმკვიდროს, როგორიც წინადა ჰქონდა. ერთის სიტყვით, რუსეთი ბულგარიის საქმეში დიდს ქომაგსა და სარჩლს გერმანიისაგან არ უნდა მოელოდეს და არც ის უნდა ეგონოს, ვითომ გერმანია წინააღმდეგობას გაუწევს რასმე.

— ის ხმა, რომ ვითომ გრაფი გერბერტ ბისმარკი პარიჟში უნდა წავიდეს და საგანგებო წინადადება აქვს მინდობილი გერმანიის მიერ საფრანგეთის მიმართო, უკვე უარ-ჰყო „National Zeitung“-მა. ეხლა ხელ-ახლად უარ-ჰყოფს „Norddeutsche Zeitung“-იც. კანცლერის გაზეთი დაბეჯითებით აცხადებს, რომ სიტყვაც-კი არ ჩამოვარდნილა საფრანგეთის იარაღის ახსნის თაობაზეო. „თვითონ ეს აზრი, ვითომ გერმანია ამისთანა ყმაწვილურსა და ბავშვურს საქმეს მოჰკიდებს ხელსაო, იმდენად გულ-უბრყვილო აზრია, რომ ვერავინ ვერ ირწმენსო“.

საფრანგეთი. რესპუბლიკელთა გაზეთები სავსეა წერილებით იმის შესახებ, თუ როგორ დაუხვდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს გამბერში. ასე წარმოიდგინეთ, რომ „Figaro“-ც-კი აცხადებს: „რესპუბლიკის პრეზიდენტს ზოგიერთს ალაგას დიდის აღტაცებით მიეგებნენო“. სალამოზედ, წვეულობის დროს პრეფექტისას, რესპუბლიკის პრეზიდენტს საპატიო ლეგიონის ჯვარი გარდაუცია დამსახურებულის საერო მასწავლებლისათვის, რომლის ცოლიცა და ოთხი შვილიც ამავე საქმეს ადგანან თურმე. ამის შემდეგ კარნოს კომანდირის ჯვარი მიუცია გენერალის დე-ბესსოლისათვის და უთქვამს: „ეს არის ეხლა დავაჯილდოვე მასწავლებელი ჩვენის შვილებისა. ნება მომეცი დავაჯილდოვო ეხლა გენერალი, რომელიც ჩვენთა ჭაბუკთა ისე სწვრთვნის ჯარში და მამულის სამსახურს ასწავლისო“. გრენობლეში რესპუბლიკის პრეზიდენტს უფრო დიდის თანაგრძნობითა და აღტაცებით დახვედრიან. ქალაქის კარებთან მოჰგებებიან: მერი, კორპორაცია, ყმაწვილები, სამოქალაქო სასწავლებელთა მოწაფენი და დიდ-ძალი ხალხი. ერთს თეთრს კაბაში შემოსილს ყმაწვილს ქალს მიურთმევია ბ-ნის კარნოსათვის ყვავილების თაიგული და წაუკითხავს ლექსები, რომ საფრანგეთის დედანი მზად არიან მსხვერპლად შესწირონ თავიანთი ქმრები, ძმები და შვილები, თუ-კი ასეთი მსხვერპლი საჭირო იქმნება მამულის კეთილდღეობისათვისაო. პრეზიდენტს თან ახლდნენ თურმე ფლოკე და ლოკრუა და აგრეთვე იქაურნი დეპუტატნი ჟიულ ფერრი, ფლურანსი, ჟერმენ კასსი და სხვანი.

იტალია. რომის საქმეზედ კვლავ ლაპარაკი და ბაასი ასტყდა ამ ჟამად ევროპის დიპლომატიასა და საზოგადოებას შორის. იტალიის შინაგან ცხოვრების ამბებმა კვლავ დიდი მითქმა-მოთქმა ასტეხა ვატიკანში და, თუ დავუჯერეთ პაპის გაზეთებს, ლეონ მე-XIII არა სახუმროდ განუზრახავს ვატიკანიდგან გასვლა. ამ განზრახვას უკავშირებენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ გერმანიის იმპერატორი რომში უნდა მივიდეს. პაპი ყოველსავე ღონესა ჰღონობს და სახსარსა სახსრობსო, ამბობენ,—რომ ვილჰელმ მე II დაიყოლიოს იმავე საქციელზედ, რა საქციელზედ ფრანც-იოსები დაიყოლიაო. უკვე ცნობილია, რომ ავსტრიის იმპერატორმა აქამდინ არ დაუბრუნა დარბაზობა მეფე ჰუმბოლტს პაპის ხათრითა და პატივისცემით. ვატიკანი ეხლა სცდილობს გავლენა იქონიოს გერმანიის იმპერატორზედაც სხვა სახელმწიფოთა შემწეობით, მაგრამ ძნელად თუ მოახერხოს და დაიყოლიოს როგორმე ახალგაზდა იმპერატორი, რომ სადაც-კი გინდა შეჰხვდი იტალიის მეფეს, ოღონდ რომში-კი ნუო. „ან რომსა და ან არსად სხვაგანაო“,—უპასუხა იტალიამ შარშან ფრანც-იოსებს, ხოლო ეხლა-კი უფრო დიდის უფლებით მოითხოვს ამასვე გერმანიისაგან.

## წვრილი ამბები

თუ მეფე მილანმა ნება-რთვა მიიღო დედოფალთან განქორწინებისა, რამდენიმე მილიონი ფული უკანვე უნდა დაუბრუნოს თურმე ნატალიას, დედოფლის სასკუთრო.

— „Truth“-ი ამბობს, რომ ლონდონში შემდგარმა სინდიკატმა წინადადება მისცა მეკენზის, რომ დასწეროს წიგნი იმის შესახებ, რა ამბავიც იყო გერმანიის სასახლეში ფრიდრიხ მე-III წამლობის დროსაო. ამ შრომაში შეუძლევიათ 65,000 მან. და წიგნის გამოცემა 50,000 ეგზემპლიარად სდომებიათ. მეკენზის უარი უთქვამს და არ დათანხმებულა ამ წინადადებაზე.

— გერმანიაში ძალიანა ჰყიდულობენ თურმე იმ ფულს, რომელზედაც იმპერატორ ფრიდრიხის მე III სახეა ამოჭრილი. ამისთანა ფული სულ 10,000 იყო გაკეთებული ოქროსა და ვერცხლისაგან. ეხლა ნამდვილს ღირებულობაზედ ერთი სამადა ჰფასობს თურმე.

—ალბერტ ვოლფისათვის, „Figaro“-ს ცნობილის თანამშრომლისათვის, უწყალობებიათ ორდენი საპატიო ლეგიონისა 28 წლის ჟურნალისტობისათვის.

— ერთს მეტის-მეტად შეძლებულსა და მდიდარს ინგლისელს, გვარად ფაის, რომელიც მექსიკაში სცხოვრობს, განუზრახავს აგოს თავისთვის მშვენიერი სასახლე, ასის ადლის სიმაღლე. ეს სასახლე გარ-შემორტყმული იქნება უშველებელის ბაღით და ეგვანება ლეგენდად ნაამბობს ბაბილონის დაკიდულს ბაღებს. საზოგადოება, თუ არ ერთ გვარის მანქანის შემწეობით, სხვაფრივ ვერას გზით ვერ მიაღწევს ამ ბაღსა და სასახლეში. ეს მდიდარი ინგლისელი ამბობს თურმე, რომ მხოლოდ ამ სიმაღლეზე შეიძლება დაიცვას და დაიფაროს კაცმა თავი სხვა-და-სხვა მიკრობისაგან, რომელიც ისე სწამლავს და ისე ჰშხამავს ქალაქ ადგილას ჰაერსაო. ამ შენობას თავისი ღირსეული სახელიც ერქმევა თურმე—„სემირამიდას სასახლე“ და აქედგან ტელეფონს გაიყვანენ ქალაქამდის. წყალი-კი წყაროსი უნდა ისმარონ, მაშინებით გამოყვანილი. ყველაზედ საყურადღებო-კი ამ ბაბილონის სასახლეს აშენებაში ის იქმნება, რომ იგი უნდა სულ ერთიანად ქაღალდისაგან იქმნას აგებული.

— აი ერთი ბერლინური ამბავი, რომელიც კაი სადრამე შინაარსს წარმოადგენს. ამ ოც-და-სამის წლის წინად ვიქტორია რ. გაჰყრია თავისს ქმარს, რომლის მიზეზი, სხვათა შორის, ისიცა ყოფილა, რომ ბ-ნს რ—ს ვიღაცა მოცეკვავე ქალი ჰყვარებია. ერთი ნაწილი თავისის ქონებისა ქალს ქმრისათვის დაუთმია და დანარჩენის ფულით-კი რაღაცა ქარხანა გაუღია, საიდგანაც გვარიანი შემოსავალი ჰქონია. წარსულის თვის დასაწყისს ქ-ნს რ—ს, რომელიც ხელ-

---

წიყელი—ცამბირისაკენ გაამგზავრეს და მეორე—თათარი გაანთავისუფლეს საპყრობილიდამ, ტირილითა და წუხილით გამოემშვიდობა.

### XV

### წყალზე

სოფელ მრავლეთში სულ სამგან გამოდიოდა წყარო. ზაფხულობით ერთს ამ წყალთაგანს ძრიელ ეტანებოდა ხალხი, რადგანაც ცივი იყო და ახლო-მახლო ფურცლებიც ედგა. წყალზედ მოსულნი სიცხის დროს ფურცლების ჩრდილს ეფარებოდნენ. რა დროც უნდა ყოფილიყო—ზაფხულობით,—აქ კაცი ყოველ დღე ჰნახავდა ოციდამ ოც-და-ათამდე მანდილოსანს და კოკებს ხომ რიცხვი არა ჰქონდათ! წყარო პატარად ჩამოწანწკარებდა და გვიან მოერგებოდათ ხოლმე ჯერი. ამისათვის მანდილოსან თ ხელ-საქმე მიჰქონდათ წყალზე და მანამ ჯერი მოერგებოდათ, ხელსაქმობდნენ და თანაც შეექცეოდნენ ლაპარაკით.

ერთს საღამოს მოეყარა თავი რამდენსამე მანდილოსანს, ბებრიდამ მოკიდებული რვა წლის გოგოებამდე. ზოგს წინდა ჰქონდა ხელში, ზოგს—პაჭიჭი, ზოგს—დასალიანდაგებელი ახალუხის კალთები. მომეტებული ნაწილი-კი უსაქმოდ იყო.

— გოზალაანთ საბედა წმინდა გიორგისაგან ქადაგათ დაცემულა,—დაიწყო ერთმა,—და სუ აგრე უძახნინებია, რო ქვეყნიარობას დავწვამო; როგო გაბედესო, რო ახალ მელოგინეს ჩემი კარები გაუმაალახვინესო!

— ვილა მელოგინეს, ქა? იკითხა ერთმა.

— ქა, მთა ი მთას ეცა და შენ არ გაგიგია?!—მიახალა მესამემ:—ჩიჩაყვაანთ მელიკოს ნაბიჭვრები ეყოლა და ლვდელმა ჯვარსა და სახარებას ქვეშ გამოჰკითხა წმინდა გიორგში, ვინ სტყუის შენთანაო?

— შვილი არ მამიკვდება, არაფერი გამიგია!

— დიდი ხანია საბედასა ჰპირდებიან ანგელოზები მკითხაობას და ლამის არი გაიკრას! სთქვა მეოთხემ.

— რა ურიგო იქნება, ქა! ნეტავი აგრე იყოს-და! ერთი ბეწო სამკითხაო რო გვქონდეს რამე, ფათანში უნდა გავიქცეთ!—სთქვა მეხუთემ.

— უკანა მკარ ში,—დაიწყო სხვამ,—ერთ დედაკაცს შაუყვარებია თავი ნათლიის ძმა..,

— უიმე, რაღა ვქნა, ქა!—ჩამაართვა მეორემ:—რა ღმერთი გაჰწყრომიათ, რაზე დაუქცევიათ ცა და ქვეყნიარობა თავზე!

— შაუყვარებია, დაორსულებულა და ორთავიანი ყმაწვილი გაჩენია. თითო თავზე თითო თვალი ჰქონია შუბლის ალაგას და პირის მაგივრათ კიდე ოლოლის ნისკარტი ჰქონია.

— ეგ ხო ეშმაკეული ყოფილა ქა! სთქვა მესამემ.

— მა განა ადვილია ნათელ-მირონობის დარღვევა რა! სთქვა მეოთხემ.

— მამასახლისი შამძიმდა, ამალამ ველარ შაალწევს! დაიწყო ახლად მოსულმა წყალზედ მანდილოსანმა.

— ქა, მამასახლისი ავათ არი რა? იკითხა მეორემ.

— ეს ერთი კვირაა, ლოგინათ არი ჩავარდნილი.

— რა გამოჰვარდნია? იკითხა მესამემ.

— რა გამოჰვარდნია რა? დაითვერებოდა და გაცივდებოდა,—მისცა პასუხად მეოთხემ.

— დაითვერებოდა-კი არა, ქა, დაიწყო ისევ პირველმა, ილას მოუჰწყვრია თავის ცოლზე და ხანჯლით დაუჭრია. დაჭრილობას არ აჩენენ.

— უი, მარჯვენა-კი შაჰრჩეს იმას, თუ მართალია!—სთქვა ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა:—მაგ სიყმე შავმა, რამდენს აჰხადა ნამუსი? ადრე და მალე იყო სასიკვდილო და გვიანა კვდება.

— ი ცოლი მეეკლა, რო ჩარბუზანა ება სახლში, რაც დედამთილი მოუკვდა? სთქვა კიდევ სხვამ.

— ცომი დეეკრას გულზე, კარგი სახელი იმან გამაიტანა! შაპილწა და შამურდლა პატიოსანი სახლი და ი თავ-მომწონე ბიჭს კიდე თავი მოჰჭრა ქვეყანაში...

— აკი კერა მაითხოვსო? ოქროულა მაგითანა იყო? ცოდო არ არი, რო ეგ ოქროულას რძალია!

— ქა, რა ქნას იმანაც, იმ თვალგახეთქილმა, რო ძალათი მოჰხადეს ნამუსი!

— ოჰ, მარტო მამასახლისი-კი არა, თუ მართალია, ერთი ი შაქროც უნდა მიეყოლებინა თანა, რო კარგი მაშინ იყო. მაგათი შიშით, გეთაყვანეთ, ქა, გზაზე ველარავის გაუვლია და შინ ველარავინ დამდგარა მარტოკა.

— საწყალი, მე ი ბიჭი მეცოდება! რა თავ-მამწონე ბიჭი იყო და ეხლა ბოლმისაგან თავს აღარ იცოცხლებს.

— ვინ ჩაახარა, ქა, ესე ჩქარა?

— ყარამანთან შალაპარაკებულა და ყარამანს წაუყვედრებია: „შე კახპის ქმაროვო“. ამ სიტყვებს გულში ჩაუკბენია და დაუწყვია ზვერა. ცოლისათვის მოუტყუებია, რო მოყვრებში მივდივარ, ამაღამ აღარ მოვალო, მაგრამ მობრუნებულა და ზედ მოუჰწრია მამასახლისისათვინ. მამასახლისისათვინ ხანჯალი უკრამ, ცოლი კიდე დაუბექნია კარგა და გაუგდია.

— ჰი, შარჩეს მარჯვენა!

— მას აქეთია, აღარავის უნახამ ილა, არც დღე მოდისო შინა და არც ღამეო.

— თათრები დაუყონალებია და ყაჩაღათ აპირობს გავარდნასაო.

ამის შემდეგ ლაპარაკი სხვა საგანზედ ჩამოვარდა.

მელანია

(დასასრული შემდეგ)

ახლად არ გათხოვებულა, ერთი მკვრავი ყმაწვილი ქალი აყვანია სახლში, რადგან ამ ყმაწვილის ქალის შეხედვაზედ რაღაცა აგონდებოდა და ამახსოვრდებოდა თურმე ზუნდად. ამ ორის კვირის წინად ეს ქალი თვალ-ცრემლიანი დაბრუნდა თურმე რ— სთან და გამოაცხადა, რომ მამაჩემი სიკვდილზე მიგდებულიაო. რ—ს შეებრალა, გაჰყვა სახლში და ჰნახა თურმე ყმაწვილის ქალის მამა. ავადმყოფს პირი კედლისაკენ ექონდა. როცა თვალები გაახილა და პირი მოიბრუნა, რ—მა იცნო თურმე თავისი განქორწინებული ქმარი. უწინდელმა მეუღლემ გამოჰკითხა, თუ როგორ დაცემულიყო და დამაზუნებულიყო იგი ამ მდგომარეობამდე. ეს კაცი დაქორწინებულიყო ერთს მოცეკვავე ქალზედ, წასულიყო იმასთან ერთად ამერიკაში და იქ ცოლი მოჰკვდომოდა, რომელსაც ყუსუყრი ბავშვი ქალი დაეტოვებინა. ერთს წელიწადში დაქვრივებულს მთელი თავისი ქონება გასცლოდა ხელიდგან და დაბრუნებულიყო ბერლინში ქალითურთ. ქ ნმა რ—მ მაშინვე დაიბარა თურმე ექიმი, რომელმაც გამოაცხადა, რომ ავადმყოფი მხოლოდ რამდენსამე დღეს-ღა იცოცხლებსო. დიდის ალერსით, სიყვარულით და თავ-განწირვით უვლიდა თურმე რ—ი ავადმყოფს, თავისს უწინდელს ქმარს, და ბოლოს, როცა იგი გარდაიცვალა, თავისის მოქმეს ქალი კანონიერად იშვილა კიდეც.

◆◆

# დეპეშა

20 ივლისი

პეტერბურგი. გამოცხადებულია, თუ რა გადასახადი გამოერთმევათ იმათ, რომელთაც სამკვიდრო რჩებათ: თუ ეინიცობაა ითხოვეს მემკვიდრეებმა, რომელთაც უძრავს სამკვიდროზე გადასახადი უნდა გამოერთვათ, შეიძლება შეღავათის ვადად მიეცესთ არა უმეტეს ხუთის წლისა, ხოლო იმ პირობით, რომ ხაზინის სასარგებლოდ გარდაიხადოს $^1/_2$% თთვეში. ხოლო მოძრავს ქონებაზე მიეცემათ შეღავათად არა უმეტეს ერთის წლისა $^1/_2$% გადაუხდელად. აგრეთვე შეიცვალა წესდება გერბის გადასახადისა: პირობის წერილზე სახლისა და სადგომის შესახებ, თუ წლის ქირა 500 მან. არ აღემატება, უნდა გარდაიხადოს გერბისა მარკის 80 კაპ., ხოლო იმ პირობებზე-კი, რომელშიაც ვადა არ არის აღნიშნული და გამოანგარიშებულია მხოლოდ ქირის რაოდენობა წელიწადზედ ნაკლების ვადისა, უნდა დააკრან გერბის მარკა 80 კაპ. როგორც პირობის შეკვრის დროს, ისე ყოველს წელიწადს, პირობაში აღნიშნულ წლიდგან განვლილისა.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისი

| | მყიდველ. | | გამყიდველ. | | გარიგდა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 8 | 42 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | — | „ | 168 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — | „ | — | „ | 1 | 33 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . | 267 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | 251¼ | | — | „ | — | „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მკათათვე 31 დღით არის.

21 დღე ხუთშაბათი. ღირსისა სვიმონისა და იოანესი. კათოლ. წინასწარმეტყ. დანიელისა. სომეხ. წინ.-მეტყ. ელისესი. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—55, ჩადის 7—16. მთვარე 25 დღისაა.

22 დღე პარასკევი. წმ მარიამ მაგდალინელისა. კათოლ. მარიამ მაგდალინელისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—56, ჩადის 7—16. მთვარე 26 დღისაა.

23 დღე შაბათი. წამება თეოფილესი. კათოლ. ეპ. ლიბერიასი. სომეხ. თორმეტთა წინასწარმეტყველთა და მეცამეტე წინ.-მეტყ. პავლესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—57, ჩადის 7—14. მთვარე 27 დღისაა.

24 დღე კვირა. წამ. ქრისტინესი. კათოლ. ქრისტინესივე. სომეხ. ალებისლამე ფერის-ცვალების მარხვისა. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—58, ჩადის 7—13. მთვარე 28 დღისაა.

25 დღე ორშაბათი. მიძინება ანნასი, დედისა მარიამისა. კათოლ. წინ.-მეტყ. იაკობისა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—59, ჩადის 7—12.

---

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობათ შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭიროა, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასტუმრო ქარვასლაში, ბანკის ქარვასლაში, №101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის | | გადის | | სტანციები | მოდის | | გადის | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საათი. | წამი. | საათი. | წამი. | | საათი. | წამი. | საათი. | წამი. |
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი. | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები. . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 03 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 0 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი. . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 08 | 12 | 11 | სამტრედია. | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი. | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 11 | 02 | 1 | 17 | რიონი. . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი. . . | 2 | — | 2 | 03 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელოგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი. | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია. | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 05 | 8 | 07 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი. . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები. . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი. | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათზედ და 50 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | დილით | | | | | ღამით | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა. . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 54 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა

(Закавказская центральная справочная контора)

შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელსაც მთავრობისაგან ნება-დართულია და რომელსაც გირაო აქვს შეტანილი ხაზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირავოს, ან გააქირავოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ. (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Ддвор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ)

ქელერის ტყის წყალი

ერთად-ერთია საშუალება ოთახის დასხულის ჰაერის განსაწმენდად და განსასუფთავებლად.

ისყიდება პროვინციაში ყველა დიდ მოვაჭრეებთან; მოსკოვში—რ. კელერთანა და ამხ. ნიკოლსკის ქუჩაზე. 3—1 (ც.)

დაიბეჭდა და ისყიდება

გაზეთ „მეურნის“ გამოცემა

ვაზის ობი

(მილდიუ ანუ ვაზის პერონოსპორა),

შედგენილი

პ. ვიალას წიგნის ხელმძღვანელობით

ვ. ს—შვილის მიერ.

ფასი ორი შაური.

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნების რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულ, ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძესაგან . . . . . . . . | „ | 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. . . . . | „ | 15 |
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კვიცარიძისა . . . . . . . . | › | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| II ნაწ. . . . . . . | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა . . . . . . . | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, კაზ. „ივერიის“ გამოცემა. . . . | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ. . . . | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა . . . . . . | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. . . . | 3 | „ |
| სამართლის წიგნი ვახტანგ მცხეთის ტაძარი, გამოც. ლამბაშიძისა . . . . . . | „ | 25 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ . . . | „ | 50 |
| რუსულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) . . . . . | 3 | 50 |
| ვაზის ობი. . . . . . . | „ | 10 |
| მარინე, ისტორიული მოთხრობა გუნიასი . . . . | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. . | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა . | „ | 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა . . . . | „ | 15 |
| გულივერის მოგზაურობა . | „ | 50 |
| ლოცვანი, ლამბაშიძისა . . | „ | 30 |
| სიკვდილი მართლისა, პონტოელი პილატეს მეუღლის წერილი თავის მეგობარ ქალთან. | „ | 5 |

ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);

და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას“ (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

Доз. ценз. Тифлисъ, 20-го Іюля 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე